საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი თ. ქ. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.03.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: N011/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ბ. ბ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ბ. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 19 მარტს ადვოკატმა თ. ქ.-მა საჩივრით მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ბ. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, თავად და ადვოკატი ბ. ბ. დიდი ხნის ნაცნობები არიან. კერძოდ, საჩივრის ავტორი იყო ადვოკატ ბ. ბ.-ის სტაჟიორი და როდესაც მან უკვე დამოუკიდებელი საქმიანობა დაიწყო, გარკვეულწილად თავისი საქმიანობა კვლავ ბ. ბ.-ს დაუკავშირა. მისი განმარტებით, მან კარგად იცის სპარსული ენა, აქედან გამომდინარე მისი კლიენტების უმრავლესობა არიან ირანელები. ის დაუკავშირდა ბ. ბ.-ს და შესთავაზა ერთობლივად მუშაობა. მომჩივანი განმარტავს, რომ თავად უზრუნველყოფდა კლიენტებთან ურთიერთობის საკითხებს, როგორიცაა ხელშეკრულების გაფორმება, მოლაპარაკება,

მინდობილობის გაფორმება და ა.შ., ხოლო ბ. ბ.-ს, როგორც კვალიფიციურ ადვოკატს, უნდა ეწარმოებინა საქმეები სასამართლოში. საჩივრის ავტორსა და ბ. ბ.-ს შორის აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა ზეპირი შეთანხმება.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოში საქმეებს ძირითადად ბ. ბ. აწარმოებდა და მას შესაბამისად, მისგან ჰქონდა ინფორმაცია თუ რა ეტაპზე იყო კონკრეტული საქმე.

1.4 საჩივრის ავტორმა საქმესთან დაკავშირებით განმარტა, რომ 2021 წლის პირველ მარტს ჩანიშნულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა ადვოკატი ბ. ბ.. მან არ უზრუნველყო არც საჩივრის ავტორისა და არც კლიენტის ინფორმირება. შესაბამისად სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ბ. ბ.-ის ეს საქციელი განპირობებულია მათ შორის მანამდე არსებული კონფლიქტით. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, თუმცა ამ ეტაპზე ეთიკის კოლეგიისათვის მომართვა მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტა.

1.5 საჩივრის ავტორმა 2021 წლის 20 სექტემბრის ზეპირ სხდომაზე დამატებით განაცხადა, რომ მან მიმართა სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით და მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. პროცესები გაგრძელდა და მის კლიენტს ზიანი არ მისდგომია.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ბ. ბ.-ს უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, რადგან მისმა ქმედებამ რისკის ქვეშ დააყენა მისი საქმიანი რეპუტაცია და კარიერა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ბ. ბ.-მ 2021 წლის 11 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა განმარტება. ადვოკატს განმარტებით, იქედან გამომდინარე, რომ საჩივრის ავტორი იყო იურისტი და არ ჰქონდა ადვოკატად მუშაობის საკმარისი გამოცდილება, მიმართა მას და მის დებს დახმარების სათხოვნელად სხვადასხვა საქმეებში. საჩივრის ავტორი მარტო ვერ რისკავდა საქმის აღებას, რადგან თვლიდა, რომ ჯერ კიდევ აუცილებელი იყო მისთვის გარკვეული გამოცდილება. იქედან გამომდინარე, რომ ადვოკატს და მის დებს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ საჩივრის ავტორთან, მათ უარი არ უთქვამთ. ეხმარებოდნენ, თანამშრომლობდნენ, სწავლობდნენ და მეგობრობდნენ.

2.2 ადვოკატის განმარტებით, რეალურად ორივე ადვოკატს თანაბრად უნდა ემუშავათ და თანაბრად მიეღოთ მონაწილეობა საქმეში, ასე იყო მინდობილობით გათვალისწინებული. მათი ერთად მუშაობის მიზანიც სწორედ ის იყო, რომ მეტი გამოცდილება მიეღო საჩივრის ავტორს. რეალურად ორივე აკეთებდა ყველაფერს, აწარმოებდნენ საქმეს და ადვოკატის განმარტებით არ ესმის თუ რატომ უარყოფს ამას საჩივრის ავტორი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მაშინ როდესაც ერთ-ერთ სხდომაზე უნდა შესულიყო დაურეკეს სასამართლოდან და ჩანიშნეს პროცესი 2021 წლის 1 მარტს. მისივე თქმით, ამავე დღეს სხვა სამი პროცესი ჰქონდა, რომელიც უფრო ადრე იყო ჩანიშნული. სააპელაციო სასამართლოსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში, შესაბამისად, ფიზიკურად ვერ შეძლებდა აღნიშნულ პროცესზე გამოცხადებას.

2.4 ადვოკატის განცხადებით, როდესაც გაიგო, რომ მეოთხე სხდომა ჩაენიშნა დაურეკა საჩივრის ავტორს და აცნობა სხდომის შესახებ. მისივე განმარტებით, ასევე აცნობა, რომ იმავე დღეს სხვა სამი პროცესი ჰქონდა და სხდომაზე ფიზიკურად ვერ გამოცხადდებოდა, შესაბამისად შესთავაზა, რომ მარტო გასულიყო.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მარტის პირველ რიცხვებში კიდევ დაურეკა საჩივრის ავტორს, რათა გაერკვია საქმის შესახებ და საჩივრის ავტორმა განუცხადა, რომ პროცესზე არ ყოფილა, რადგან ეგონა, რომ პირველ აპრილს იყო სხდომა და არა პირველ მარტს. ადვოკატის განცხადებით, თავად საჩივრის ავტორს შეეშალა სხდომის დრო და ახლა ცდილობს მას დააკისროს პასუხისმგებლობა. ადვოკატი აცხადებს, რომ სანამ თ. ქ. ეთიკის კომისიას მიმართავდა, მას ურეკავდა და შეურაცხყოფას აყენებდა, რომ თითქოს დრო არასწორად ჩაანიშნინა, ხოლო ახლა საერთოდ უარყოფს იმ ფაქტს, რომ სხდომის შესახებ იცოდა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მას დისციპლინური გადაცდომა არ ჩაუდენია და მომჩივანის პრეტენზიები უსაფუძვლოა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ბ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

3.2 თ. ქ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 19 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ბ. ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატ ბ. ბ.-ის მიერ სასამართლოში გამოუცხადებლობამ რისკის ქვეშ დააყენა მისი საქმიანი რეპუტაცია; ადვოკატმა ბ. ბ.-მ ზიანი მიაყენა კლიენტის ინტერესს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ბ. ბ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: „პროფესიული საქმიანობის შესრულებისას ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს და არ შელახოს მათი ღირსება“.

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 10.1 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

5.2.3 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 „ა“ მუხლი: ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

5.3 ადვოკატს კოლეგების მიმართ განსაკუთრებული ვალდებულებები აქვს, მათ შორის არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, არ დააზიანოს კოლეგის კლიენტის კანონიერი უფლებები, არ მიმართოს არასათანადო რეკლამას და დაიცვას კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებული სხვა პროფესიული ვალდებულებები. კოლეგიალობის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის დამკვიდრება კანონის უზენაესობის, პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N007/18).

5.4 კოლეგიალობის პრიციპი ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, დაიცვას პროფესიული ღირსება და პატივი სცეს კოლეგებს. თავად კოლეგიალობა მდგომარეობს საერთო საქმიანობის არსებობასა და გამოიხატება ამ დროს საერთო მიზნისკენ (პროფესიული განვითარება) ურთიერთპროფესიულ პატივისცემაში (ეთიკის კომისიის 2017 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე N062/17).

5.5 საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს კოლეგიალობის პრინციპის ფარგლებში, რომლის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს კოლეგა ადვოკატის პატივისცემა. პროფესიის არსიდან გამომდინარე, კოლეგებს შორის ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ნდობასა და ურთიერთთანამშრომლობას (ეთიკის კომისიის 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N139/18).

5.6 კოლეგიის შეფასებით, 2019 წლის 22 მაისს გაცემული მინდობილობით, კონკრეტულმა მარწმუნებელმა ადვოკატებს თ. ქ.-სა და ბ. ბ.-ს მიანიჭა უფლებამოსილება ეწარმოებინათ მისი საქმე. საქმეზე 2021 წლის 23 თებერვალს, წარმომადგენელს ბ. ბ.-ს სასამართლოს მიერ ეცნობა სხდომის თარიღი, 2021 წლის 01 მარტი. 2021 წლის 01 მარტის სხდომაზე, მოსარჩელე მხარისა და მისი წარმომადგენლების გამოუცხადებლობის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე N2/19961-20. 2021 წლის 22 აპრილს სასამართლოს საჩივარი წარუდგინა მოსარჩელის წარმომადგენელმა თ. ქ.-მა და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე მხარის სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ სასამართლომ სხდომის თარიღი აცნობა მხოლოდ ერთ წარმომადგენელს - ბ. ბ.-ს, რომელმაც ამავე სატელეფონო საუბრისას აცნობა სასამართლოს, რომ იმავე დღეს ჰქონდა სხდომა სხვა საქმეზე და შესაძლებელია, პროცესზე მისვლა ვერ მოესწრო, ხოლო ბ. ბ.-ს მისთვის სხდომის თარიღი არ უცნობებია. მომჩივანი თ. ქ. სასამართლოსადმი წარდგენილ საჩივარში აღნიშნავს, რომ მისთვის სხდომის თარიღი არც სასამართლოს უცნობებია, იმის მიუხედავად, რომ საქმეში იყო მის სახელზე გაცემული მინდობილობა და საკონტაქტო ინფორმაცია.

5.7 2021 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, სასამართლომ თ. ქ.-ის საჩივარი დააკმაყოფილა - გაუქმდა 2021 წლის 01 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმეზე N2/19961-20

განახლდა წარმოება. სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველში მიუთითა, რომ საქმეზე წარმომადგენელს ბ. ბ.-ს ჰქონდა პროცესი, რის შესახებაც მან აცნობა სასამართლოს, ხოლო სასამართლოს ინფორმაცია არ მიუწოდებია საქმეში ჩართული მეორე წარმომადგენლისათვის. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებით დგინდება, რომ მხარეს სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესი არ დაუკარგავს და მისი სხდომაზე გამოუცხადებლობა ამით არ ყოფილა განპირობებული.

5.8 ადვოკატი ბ. ბ. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ პოზიციაში განმარტავს, რომ მან სხდომის თარიღი დაუყოვნებლივ აცნობა საქმეში ჩართულ მეორე ადვოკატს - თ. ქ.-ს. სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გააუქმა, შესაბამისად კლიენტს ზიანი არ მიდგომია. კოლეგიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ადვოკატ ბ. ბ.-ის მიერ კოლეგიალობის პრინციპისა და კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევა, კოლეგის თ. ქ.-ის მიმართ, არ დასტურდება.

5.9 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ბ. ბ.-ის ქმედებაში არ დასტურდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7, 10.1 მუხლისა და ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულებების დარღვევა, შესაბამისად, ადვოკატ ბ. ბ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №011/21 ბ. ბ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/